

დამატება სისხლის სამართლის კოდექსში – „კანონიერი ქურდობა“

1970 წელს აშშ-ში მიღებულ იქნა კანონი ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ე. წ. „RICO Act“ (Racketeering influenced and corrupt organizations act), რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენდა მაფიის წინააღმდეგ ბრძოლა, კერძოდ, მაფიის ხელმძღვანელი პირების - „ნათლიმამების“ წინააღმდეგ ბრძოლა. თავისთავად, მაფია, როგორც დანაშაულებრივი ერთობა, უამრავ სხვადასხვა დანაშაულს ჩადიოდა, ესენი იყო თავდასხმები, მკვლევლობები, ფულის გათეთრება, ნარკოტრაფიკი, პროსტიტუციის ხელშეწყობა და ა.შ. ხშირად, მაფიოზური ოჯახები თაობებით იყვნენ ჩართული ამ დანაშაულებში. თუმცა, უმრავლეს შემთხვევებში ოჯახური კლანების ხელმძღვანელი პირები, ე.წ. „ნათლიმამები“ თავად არ ესხმოდნენ და კლავდნენ, ისინი მართავდნენ. ამიტომ აშშ-მ შექმნა ახალი კანონი, რომელმაც საშუალება მისცა სახელმწიფოს ციხეში მოეთავსებინა „ნათლიმამები“ მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ხელმძღვანელობდნენ და მართავდნენ მაფიურ კრიმინალურ დაჯგუფებს.

ამერიკის აღნიშნული კანონის მსგავსად ქართულმა სახელმწიფომ სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი დამატებით გადამწყვეტი ბრძოლა დაიწყო ქართველი ნათლიმამების, ე.წ. „კანონიერი ქურდების“ წინააღმდეგ. ამ სტატიის მიზანს არ წარმოადგენს ამერიკული „მაფიისა“ და „ნათლიმამების“ და ქართულ კრიმინალურ სამყაროსა და „კანონიერ ქურდებს“ შორის მსგავსებისა თუ განსხვავების კვლევა. სტატიის მიზანია, მხოლოდ იმ წმინდა სამართლებრივი ხასიათის პრობლემებზე მითითება, რაც გამოიწვია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილმა ცვლილებამ, „კანონიერი ქურდობისათვის“ პასუხისმგებლობის დაწესებამ.

2005 წლის 20 დეკემბრის კანონით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა 223¹ მუხლი - „ქურდული სამყაროს წევრობა, კანონიერი ქურდობა“. აღნიშნული მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება: პირველი ნაწილით დასჯად ქმედებად არის გამოცხადებული - „ქურდული სამყაროს წევრობა“, რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე ჯარიმით ან უამისოდ. ხოლო მეორე

ნაწილით დანაშაულს წარმოადგენს - „კანონიერი ქურდობა“, რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან ათ წლამდე ჯარიმით ან უამისოდ.

აღნიშნული ცვლილებით ქართულ სისხლის სამართალში რევოლუციური გადატრიალება განხორციელდა – ქართული სისხლის სამართალი ამიერიდან აღარ წარმოადგენს მხოლოდ ქმედების სისხლის სამართალს და დამკვიდრდა პასუხისმგებლობა პიროვნების საშიში მდგომარეობისათვის.

რამდენადაც ცვლილება ფუნდამენტური ხასიათისაა, საჭირო იყო საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში სხვა შესაბამისი ცვლილებების შეტანაც, არა მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში, არამედ ზოგად ნაწილშიც. სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილი სისხლის სამართლის სისტემის უმნიშვნელოვანესი ნაწილია, რადგან იგი სისხლის სამართლის ზოგად ცნებებს და ინსტიტუტებს განსაზღვრავს. მათ შორის განსაზღვრავს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლის – **დანაშაულის** ცნებას. კერძო ნაწილი აღწერს ცალკეულ დანაშაულების შემადგენლობას და აწესებს პასუხისმგებლობას მათთვის. კერძო ნაწილში აღწერილი ნებისმიერი დანაშაულის დისპოზიცია შექმნილი უნდა იყოს ზოგად ნაწილში დადგენილი ცნებების საფუძველზე და მათი გათვალისწინებით. წინააღმდეგ შემთხვევაში იღრვევა სისხლის სამართლის კანონის ერთიანობა, რაც ბევრ პრაქტიკული ხასიათის პრობლემებს ქმნის.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში შესაბამისი კარდინალური ცვლილებების გარეშე სსკ-ის 223¹ მუხლი წარმოადგენს სრულ სამართლებრივ ანომალიას, რადგანაც კოდექსის ზოგადი ნაწილის ყველა ნორმა, შედგენილია „ქმედების სამართლის“ პრინციპებზე.

აღნიშნული სამართლებრივი ნონსენსი თვალსაჩინო ხდება სისხლის სამართლის კოდექსის მხოლოდ მე-7-ე მუხლის ანალიზითაც. აღნიშნული მუხლის თანახმად - „სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია **დანაშაული**, ე.ი ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება“. ე.ი დანაშაულს, სსკ-ის ზოგადი ნაწილის თანახმად წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ

ქმედება, რომელიც მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულია. ქმედება ზოგადი ცნებაა და მოიცავს მოქმედებას და უმოქმედობას.

კრიმინალურ სამყაროში გავრცელებული „წოდების“ „კანონიერი ქურდის“ საფუძველზე შექმნილი სისხლის სამართლებრივი უმართლობა - „კანონიერი ქურდობა“ თავისთავად არ წარმოადგენს მოქმედებას. „კანონიერმა ქურდმა“ შეიძლება ჩაიდინოს სისხლის სამართლის კანონით აკრძალული მოქმედებები, მაგ: სხვისი ნივთის ქურდობა, ბანდიტიზმი და ა.შ, მაგრამ თვითონ სახელი „კანონიერი ქურდი“ არ არის მოქმედება, რამეთუ მოქმედება (თუ 223¹-ე მუხლის შემადგენლობას ასეთად ვიგულისხმებთ) სხვა მოქმედებას (მაგ: ქურდობას, ბანდიტიზმს.) ვერ განახორციელებს. „კანონიერი ქურდობა“ არც უმოქმედობაა ქართული სისხლის სამართლებრივი გაგებით. ზოგადად, ყოველი უმოქმედობა არ ქმნის დანაშაულის შემადგენლობას. უმოქმედობა მხოლოდ მაშინ შეიძლება დაედოს საფუძველად პასუხისმგებლობას, როცა ადამიანს მოქმედების სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა ჰქონდა, ჰქონდა ასეთი მოქმედების შესაძლებლობა და შესაძლებელი მოქმედებით შედეგი თავიდან იქნებოდა აცილებული. სისხლის სამართლის მეცნიერებაში გამოყოფონ სამ ტიპურ ვითარებას, რომლებიც მოქმედების ვალდებულებას წარმოშობენ: 1) ოჯახური მდგომარეობა, (მაგ: შვილისთვის სარჩოს გადახდის მოვალეობა); 2) სამსახურებრივი ან პროფესიული მდგომარეობა (მაგ: ექიმი ვალდებულია დაეხმაროს ავადმყოფს); 3) ადამიანის წინა მოქმედებიდან (მაგ: მძღოლი ვალდებულია დაეხმაროს იმას, ვინც მანქანით დააზიანა).

„კანონიერ ქურდს“ არ აქვს ოჯახის წინაშე ვალდებულება იმოქმედოს, ანუ, თუ გავყვებით ამ სტატიის ლოგიკას, უარი თქვას „კანონიერ ქურდობაზე“, აღნიშნული „მოქმედება“ არ ევალდება მას არც სამსახურებრივი ან პროფესიული მდგომარეობიდან და არც მისი წინარე მოქმედებებიდან გამომდინარე. პირიქით, ე. წ. კანონიერი ქურდის მთელი წინა მოქმედებები ამ „სახელის“ „ოფიციალურად“ მოპოვებამდე ავალდებულებს მას მთელი რიგი უმართლობების განხორციელებით იცხოვროს კრიმინალური სამყაროს წესებით. შესაბამისად, ცხადია, „კანონიერი ქურდობა“ არ არის არც უმოქმედობა.

როგორც ზემოთ გამოჩნდა, სსკ-ის 223¹-ე მუხლით განსაზღვრული დისპოზიცია „ქურდული სამყაროს წევრობა“ და „კანონიერი ქურდობა“

არ წარმოადგენს არც მოქმედებას და არც უმოქმედობას და იგი არის ადამიანის გარკვეული „სტატუსი“, რომლის „მინიჭების“ და „მიმნიჭებლების“ ზუსტი კრიტერიუმები არ არსებობს. შესაბამისად, სსკ-ის კერძო ნაწილის 223¹-ე მუხლით განსაზღვრული დანაშაულის აღწერილობა ამავე კოდექსის ზოგადი ნაწილის მე-7-ე მუხლის თანახმად არ წარმოადგენს ქმედებას, შესაბამისად დანაშაულს.

ამდენად, იმისთვის, რომ არ დაირღვეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის და ამავედროულად, მთელი სისხლის სამართლის სისტემის ლოგიკურ-სამართლებრივი ერთიანობა, აუცილებელია სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი და კერძო ნაწილის ნორმების ჰარმონიზება. ეს დაკავშირებულია ქართული სისხლის სამართლის მეცნიერების განვითარებასთან და სისხლის სამართლის ძირითადი ცნებების და ინტიტუტების ახლებურ გააზრებასთან. ურთულესი პროცესია, მაგრამ სწრაფად გასავლელი.